თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4566254

ნომერი: AR1689843

თარიღი : 25.06.2019

გაცემის თარიღი : 28.06.2019

გაცნობის თარიღი : 30.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნელი საინიშვილი პ/ნ 01025017823
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 5 ბ. 12

ორგანიზაცია:

- შპს "ჩაის სახლი" კოდი: 203843298

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4509142 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 25 ივნისს NAR1689843 განცხადებით მომართა ნელი საინიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4509142 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4509142 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე, სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4509142 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო უძრავი ქონების მესაკუთრედ, შპს „ჩაის სახლი“-ს (203843298) ნაცვლად დაფიქსირებულია ოლღა მალაღურიძე. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882016482675, მომზადების თარიღი: 24/08/2016 16:08:35) თანახმად, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N2-ში მდებარე N01.15.02.002.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ჩაის სახლი“-ს (203843298) საკუთრებას. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4509142 გადაწყვეტილებაში და საპროექტო უძრავი ნივთის მესაკუთრედ ოლღა მალაღურიძის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ჩაის სახლი“ (203843298).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4509142 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4509142 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.